

## დროებითი ღონისძიებები

### პრაქტიკული ინფორმაცია

---

#### რა არის დროებითი ღონისძიება?

მას შემდეგ, რაც სასამართლო საჩივარს მიიღებს, მან შესაძლოა სახელმწიფოს მოსთხოვოს ცალკეული დროებითი ღონისძიებების გატარება მანამდე, სანამ სასამართლო საქმეს განიხილავს. ხშირად, ამგვარი ღონისძიებები მოიცავს სახელმწიფოსადმი მოთხოვნას, თავი შეიკავოს გარკვეული ქმედებების განხორციელებისაგან - მაგალითად, არ დააბრუნოს პირი იმ ქვეყანაში, სადაც იგი, სავარაუდოდ, სიკვდილის ან წამების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

სასამართლო დროებითი ღონისძიების შესახებ მოთხოვნას მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრულ პირობებში აკმაყოფილებს. კერძოდ, მაშინ, როდესაც კონვენციის სერიოზული დარღვევის საშიშროება არსებობს. სასამართლოში შემოსულ დროებით ღონისძიებათა შესახებ მოთხოვნების უმრავლესობა უსაფუძვლოა და, შესაბამისად, სასამართლო მათ არ აკმაყოფილებს.

#### როგორ დავეკონტაქტოთ სასამართლოს:

სასამართლოს გამოყოფილი აქვს სპეციალური ფაქსის ნომერი დროებითი ღონისძიებების მოთხოვნელთათვის: +33 (0)3 88 41 39 00  
+33 (0)3 90 21 43 50

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ, ამ ნომრის გამოუყენებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია თქვენი მოთხოვნა ვერ იქნას დაუყოვნებლივ განხილული, განსაკუთრებით კი, უქმე დღეების პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გამოიყენოთ ზემომითითებული ნომერი დროებით ღონისძიებებთან დაკავშირებული ყოველი კორესპონდენციისას.

ფაქსები და წერილები მიიღება:

- ორშაბათიდან - პარასკევამდე, დილის 08:00 საათიდან - 16:00 საათამდე \*
- 16:00 საათის შემდეგ წარმოდგენილი მოთხოვნები, როგორც წესი, იმავე დღეს არ განიხილება. ([უქმე დღეების ჩამონათვალი](#))

დროებით ღონისძიებათა შესახებ მოთხოვნები რაც შეიძლება მოკლედ და გასაგებად უნდა იყოს ფორმულირებული. თუკი ფაქსში გვერდების რაოდენობა ათს აღემატება, უმჯობესია, იგი რამდენიმე ნაწილად გამოაგზავნოთ, ფაქსის მიღებისა და შემდგომი დამუშავების გამარტივების მიზნით.

\* ადგილბრვი დროი(GMT+1)

## **რა ინფორმაცია და საბუთები უნდა ახლდეს თან მოთხოვნას:**

---

წერილის პირველ გვერდზე მუქად დაწერეთ:

**“Rule 39. Urgent”**

**საკონტაქტო პირი (სრული სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია): ...**

**დეპორტაციის ან ექსტრადიციის საქმეებში აუცილებელია მიუთითოთ შემდეგი:**

**გადაცემა/ექსტრადიცია იგეგმება (თარიღი, დრო და დანიშნულების ადგილი): ...**

წარმოადგინეთ არგუმენტირებული, კონკრეტული და სრული მოთხოვნა. სასამართლოსთვის დროებითი ღონისძიების შესახებ მოთხოვნის გაგზავნა მომჩივნის თანხმობით უნდა მოხდეს და სასურველია, თან ერთვოდეს სათანადოდ შევსებული საჩივრის ფორმა. თუკი ასეთ მოთხოვნას წარმომადგენელი აგზავნის, აუცილებელია უმაღვე, ან რამდენიმე დღის ვადაში, შეავსოს და გამოაგზავნოს რწმუნების ფორმაც.

თან დაურთეთ მოთხოვნასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების ასლი. განსაკუთრებით, თუ ისინი ეროვნული სასამართლოების, ტრიბუნალების ან სხვა ორგანოების მიერ იქნა მიღებული.

თან დაურთეთ ყველა სხვა საბუთის ასლი, თუკი მიგაჩნიათ, რომ ისინი სასამართლოსადმი თქვენს მოთხოვნას გაამყარებენ.

## **ინფორმაცია და საბუთები, რომლებიც მოთხოვნას თან უნდა ახლდეს:**

---

დროებითი ღონისძიების შესახებ მოთხოვნის გაგზავნის შემდგომ, აუცილებელია, მომჩივანმა ან მისმა წარმომადგენელმა მის მოთხოვნას მისდიოს. სახელდობრ, სასამართლო უმაღვე უნდა იქნას ინფორმირებული მომჩივნის ადმინისტრაციული სტატუსისა თუ სხვა გარემოებათა ცვლილებების შესახებ (მაგ. თუკი მომჩივანს მიენიჭა მოცემულ ქვეყანაში ცხოვრების უფლება ანდა ის დაბრუნდა სამშობლოში). მომჩივნის წარმომადგენელმა, საკუთარი ინიციატივით, სასამართლოს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მომჩივანთან კონტაქტის შესაძლო დაკარგვის შესახებ.